# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 211. კვირა, 18 აპრილი 1904 წ. გაზეთის № 2469

# ტირილი

(სურათი გურიის ცხოვრებიდან)

ისლით დახურულ პატარა სახლის გვერდით, მზეში, იჯდა ორი ქალი: ერთი სრულიად მოხუცი, მეორე კი უფრო ახალგაზრდა და ნაღვლიანად ბაასობდნენ.

— კი, ვითამ არა?!..—დაიწყო უფროსმა.—ოცდა სამის წლის ქალია, დამირჩა გაუთხოვარი, მარა ღარიბ და ღარტაკს ვინ წეიყვანს. შენ თვითან ჩივი, ეგერ ქრივი ყაძახი ას მანათს თხონილობსო. სა მაქ, ნენავ, სად, თვარა მოგეცა სიცოცხლე, სიხარულით მივსცემდი... მჭამელი ბევრი ვართ და მუშაა... ჰმ, ჩვენ მუშას დიესია ბასარსხლები *)... მარა მაინც აგერ წელიწადზე მეტია, აცივებს, რომ აღარაფერი საშველი მიეცა... არც ერთი მარჩიელის წამალი არ დამიკლია... ოზრუგეთსაც კი ჩევიყვანეთ... არ წაადგა... ვააი!—ამოიოხრა ნაღვლიანად მან და დაღუნა თავი.

— ხო და ამიზა გიჩივი, ნენავ, შენ საცოდავო, რომ ვქნათ ტირილი მეთქი. ახლა დიდმარხვაა, ხარჯი იმდენი არ დაგჭირდებიან და ას მანათამდი ქე შამუა, მეტი თუ არა. მტერი გყავს, მოყვარე, რავა რა ვიცი, აი უბედური ბაბაი ყოლგან კი დიეთრევოდა, მოზარე იგი იყო, გამგზანი და გამომგზანი... მგვზითვს არ თხონილობს, რაც უნდებიან, იგი მისცენოაი ასი მანათი მჭირიაო. ქრივიო რომ ჩივი, რავა-ბაღნები ჯარი არ ყავს, თვითანაც ორმოცი წლის თუ არის, მეტის არ იქნება. მაინც და მაინც ახალგაზდა არც ჩვენია და....

— ვაიმე, შვილო, ცოცხალი რომ იყოს, რაღა ვქნა?—კიდევ უფრო გულდათუთქულად ამოიხვნეშა მოხუცმა და ჩაირტყა მჯიღვი გულში.



† აბგარ იოანნესიანი.

— ცოცხალი! ცოცხალი არის, და ორ წელიწად ნახევარის გამავლობაში აფერს მეიწერდა? მოწერას ქე დიეთხუე: ვადა ეკენისთვეში გუუთავდა ხომ და ამდენ ხანს ველარ ჩამუაწევდა? გამეითვალე, ეკენისთვეს აქეთ აგერ ექვსი თვეია და ექვს თვეში რომ არ ჩამევიდეს, მაი შეუძლებელია.

— ვაიმე, შვილო, ორ წელიწად ნახევარი იყო სწორეთ თებერვალში, მისი წიგნი რომ არ მომსლია... გუშხამ მარჩიელთან ვიყავი და მითხრა, კუბო უჩანსო... აღარაა, აღარ ცოცხალი, თვარა ჩემი ბესოიეი არ დამტიებდა უწიგნოთ; აი კი ვიცი, მარა რა ვქნა მე უბედურმა, რომ ამ საძაღლე გულს უნდა, ენატრება, სწყურია მისი სიცოცხლე, მისი ნახვა.. რომ არ მემეტება სასიკვდილოთ... რა ვქნა, რომ არ ვიცი?... დაგელოცა, ღმერთო, სამართალი, თვარა მე უნდა ვიარებოდე ცოცხალი და იგი, მარგალიტსავით ბაღანაი, მიწაში უნდა იყოს?!..—სთქვა ტირილით მოხუცმა და მოიწმინდა ცხვირპირი კაბის კალთით. მეორესაც გადმოსცვივდა ცრემლები და მიუგო:

მე არ ვიყავი გგონია მარჩიელთან თუ?

— მერე, მერე რა გითხრა, ნენავ?

— რაი და, რაც შენ გითხრა, სხვას რას მეტყოდა, მარა სადაა ნეტაი ქიშვარდი? ბარელამ მოგველაპარიკებია და გაგვეთავებია აი საქმე: შინ უნდა წევიდე.

— ბაღჩაში არიან, ნენავ, ყველაი. ვაი ჩემს დღეს უბედურს!.. დუუძახებ ახლავე, მარა რა გიჭრდა, ნენავ, გაგეთია ღამე?

მოხუცი ადგა და გაიბერტყა კალთები.

— ა, ქე მეივლიან აგერ იგინიც,—სთქვა უმცროსმა.

მოხუცმა მიიხედ იქითკენ, ჩაჯდა ისევ, მიუშვირა მზეს მოკუზული ზურგი და ერთობ ნაღვლიანად დაიწყო იქით-აქეთ უმიზნოდ ცქერა. ის იყო გამხდარი, თვალებ-ჩაცვივნული და წელში მოხრილი, ჯან-გატეხილი ბებერი. იმასთან იჯდა მისი უფროსი გათხოვილა ქალი ესმა. ეტყობოდა, ცხოვრებას არც ის დაესაჩუქრებინა ბედნიერების ყვავილებით: ამას ამტკიცებდა იმისი გამ დარი, თვალებთან და პირთან დანაოჭებული დაღარული სახე, რომელიც რაღაც სამწუხაროსაც და თან სასაცილოსაც წარმოადგენდა თავის შავათ შეღებილ წარბებით და ბლომა ფერ-უმარილით შეთეთრებულ-შეწითლებული შესახედაობით. იმათკენ მოდიოდნენ: გამხდარი, ციებისაგან გაყვითლებული, თხელ და ყვითელწვერა კაცი და ორი ქალი. ერთი უფრო დაბალი, სქელი, წითური და ჭორფლიანი, ფართო, განიერი სახისა—ქიშვარდის ცოლი ელპიტი იყო, მეორე კი—მაღალი, გამხდარი, გძელ ცხვირა, მოღრუბლული სახის მქონე ქიშვარდის გასათხოვარი და ეფემია, რომლის გათხოვებაზედაც ლაპარაკობდენ სახლის გვერდით დედა და უფროსი და.

— მოდი, ნენავ, აგერ, ესმა ქე მივა და ბარელამ გავათამოთ აი საქმე,—მიუბრუნდა მოხუცებული ქიშვარდის, როცა მოახლოვდნენ ისინი. ყველანი, ეფემიას გარდა, ჩამოსხდნენ იქავე სახლის გვერდით მზეში. ეფემია კი გაჩერდა და დაუწყო იმათ ცქერა.

— რეიზა ჩქაროფ, დაიავ, რა გიჭირდა მოგეცადა?—უთხრა დას ქიშვარდიმ; მან გაითიმა თავის...

*) [illegible]



ყაზახი რუსები სდევნიან ხუნხუზებს მანჯურიის სოფლებში.

ჩაყვითლებული კბილები. ცის ფერი, თითქოს გახუნებული თვალები კი ისევ ისე უძრავად და დარდიანად დარჩნენ, მხოლოდ თხელი, ყვითელი წვერი უცანცარებდა.

— არა, ძამიავ, შენთან მე რა პაიჯი მინდა, რომ მქონდეს დრო?... იმას ვჩივოდი, ამ ციცაიზა კაი ბედი გამოჩნდა, კაი ოჯახი აქ, ხელობაც ქე იცის, მგზითსაც ბევრს არ თხოვნილობს; ჩვენი დროიზა ასი მანათი არაა ბევრი. რვაასს და ცხრაასს მანათს არ ჯერდებიან ახლა, ხომ იცი? ტირილი რომ ქნათ, ნენასაც უჩივოდი წაღანაი, ახლა დიდმარხვაა, ხარჯი ბევრი არ მოგივა და ას მანათამდი, რა ღმერთი გუუწყლება, რავა არ შამუა წასაბურავი?.

— შამუა, კი შამუა, ესმა, მარა ყოლიკაცში რაფერ გამოვწყტე? რომ აღარ იციან ახლა ტირილი? და ნიშნით ტირილი თლა გადავარდა.

— ეე, რავა არ იციან, ოჯო, აგერ გუშლამ არ იყო, ათანასაის რძლები, ორი ერთად რომ იტირეს ნიშნით? სამასი მანათი წმინდა შამოსავალი შამუუვიდაო, ჩივიან, — მიუგო მას ცოლმა.

— ჩვენისანაი ღარიბიზა და ხელ-მოკლეიზა არაა, ძმაო, სირცხვილი, მარა ყორიფელს რომ თავი დაანებოს კაცმა, ამ ციცას რას უშობი, რომ დაგიბერდა სახლში?

ეფემია დაიხარა, აიღო რაღაც ჩხირი და თავჩაღუნული დაუწყო მტვრევა.

— არა, მე კი არ ვჩივი, დაიავ, არა მეთქი; რომ შემეძლოს, ჩემი ვალია მაგის გათხოვა, მარა კაცს რომ აღარ ვგავარ? ასე დამაგლახა ცივებამ და მადლობა ღმერთს! — სთქვა ქიშვარდიმ სევდიანად, ჩამოისვა ხელი თხელ აცანცარებულ წვერზე და დაუმატა: — რავაც ნენაი იტყვის. მე ვითამ ვფიქრობდი, ქორწილი ვქნათ მეთქი.

— კი ჯობს, კი ჯობს ქორწილი, — სთქვა ბებერმა სწრაფად.

— არა, ნენავ, დიდი ქორწილი არ უნდა იმ კაცს. მანა... მაინც თითო ხანი არაა. ცოლი რომ მოუკვდა და გამცინებენო; მარა მაინც ქორწილს ყოველთვის იმდენი ხარჯი და დავიდარაბა ახლავს, რომ შამოსავალი დაგრჩეს რამე კი არა, არც ფარავს ხანდისხან ხარჯს. ტირილი იმიზა ჯობს, რომ მკტარსაც გააპატიოსნებს და....

— ვაიმე, შვილო, რა ვქნა, რომ არ მემეტება.... ერთი წევიკითხოთ აი მისი ბოლონდელი მოწერილი წიგნი, ეგება ქე ამევიკითხოთ რამე შით.

ყველამ გადახედა ერთმანეთს რაღაც მოწყენილის სახით. ამ წერილს ამ ორი წლი-ნახევრის განმავლობაში კითხულობდნენ თითქმის ყოველ დღე, როცა წამკითხავს იშოვნიდნენ, მაგრამ წინააღმდეგობა ვეღარავინ გაუბედა.

— ვინ წეიკითხავს, ბატონო, ახლა მაგას? — დაეკითხა მას ელპიტი შეკავებულის სიბრაზით.

—- ვაიმე, დასურ!

— ესმაის ლადიკო წეიკითხავს, მეექვსე კლასშია ოზურგეთში და წიგნს ვერ წეიკითხავს? გევიქცევი, დუუძახებ ელანძე, ბაღნებთანაა ეგერ, — სთქვა ეფემიამ, მოტრიალდა სწრაფად და დაუძახა ლადიკოს.

ცოტა ხანს შემდეგ გამოჩნდა ლადიკო. თუთხმეტის წლის გამხდარი, მაღალი ბიჭი ნაცრის ფერი ხალათით და ღერბიანი ქუდით თავზე. ბიჭი მორბოდა და თან ჟივილ-ხივილით მოსდევდა დაგლეჯილ-დაძონძილ-ფეხშიშველა ბავშვების გროვა.

— ბებიავ, წამიკითხე, შენი ჭირიმე, აი წიგნი, — უთხრა მას მოხუცებულმა, როცა ბავშვები ჩამწკრივდნენ წინ, და ამოიღო ჯიბიდან მჩვრებში შეხვეული ჭუჭყიანი, გაცვეთილი ქაღალდები. მან გამოარჩია ერთი, ფრთხილად გაშალა და დახედა. — არა, აი არაა, აი უწინდელია, — სთქვა ბებერმა, ისევ ფრთხილად დაკეცა და გაშალა მეორე, — ა, აგია! აბა, შენი ჭირიმე, ბებიავ, აფერი გამოტიო, — და მიაწოდა შვილიშვილს ქაღალდი.



რუსის ჯარი იცავს მანჯურიის გზას.

„ათას ცხრაას წელსა, კვირკობისთვის პირველსა დღესა,— დაიწყო ლადიკომ,—ჩემო საყვარელო და ყოველ მინუთში მოსაგონარო დედ-მამავ!“

— ჰმ, ჰმ, ჰმ, შვილო, კი არ იცის, რომ მამა მისი აღარაა!—სთქვა ბებერმა ტირილით და გულში მჯიღვის ცემით.

— რავა, არ მიგიწერიან?

— არ მიმიწერია, ეწყინება და ჯავრს ჩეიგდებს გულში მეთქი, შვილო...

„პირველად და ყოვლის უწინარეს ყოვლად შემძლებელ ღმერთს ვსთხოვ თქვენ კარგათ ყოფნას და დღეგრძელობას ჩემდა სასიხარულოთ,—განაგრძო ლადიკომ კითხვა.—ამას გარდა ვიცი თქვენი კეთილის გულის ამბავი, რომ ჩემს ამბავს იკითხავთ. მე, მადლობა უფალს, ღვთის და თქვენი წყალობით, ქე ვარ კარგათ. ამას გარდა, მე კი მოგწერე, ჩვენი ჯარი რომ ჩინეთში გადმეიყვანეს. ახლა აგერ ორი კვირეა მივედით მანჯურიაში და ქალაქ მუკდენში დავბინავდით. აქანაი ჩინეთელი ხალხი ცხოვრობს; ყველას ქალებსავით თითო დაბწნა შავი თმაი აქ უკან გადაშობილი. ჩვენებურებს ჯერ ვერაკაცს შევხ̈თი, ერთი რომ მოგვყვა ჯარში, იგია, თვარა სხვაი არ ჩანს. ამას გარდა მრავალი კოცნა და ნახვის ნატვრა დიდი მორიდებით-ჩემ საყვარელ დას ესმას და მის მეუღლეს ამბაკოს, ჩემ დისულებს: კატოს, ლადიკოს და ექვთიმეს. მრავალი კოცნა და ნახვის ნატვრა დიდი მორიდებით: ჩემს უფროს და საყვარელ ძმას ქიშვარდის, მის მეუღლეს ელპიტის და ჩემ საყვარელ ძმისწულებს: ნესტორს, მაკაკის, თოლიას, ფილიპეს, ისიდორეს და კიკიტიას. მრავალი კოცნა და ნახვის ნატრა: ჩემ საყვარელს უნცროს დას ეფემიას. მრავალი კოცნა და ნახვის ნატვრა, დიდი მორიდებით: ჩემს უმფროს ბიძას ჯეგეშიას, მის მეუღლეს, ძვირფას ბიცოლა ჩემს, ცაცოს და მათ შვილებს“...

— კაი, ბებიავ, კაი. მაქანაი აწი მოკითხვა და ნახვის ნატვრაა მარტუაი. შვილო, ყოლიკაცი რომ ახსოვს... ვაი შენ დედას, რა გჭირს, რომ ვიცოდე... მიჩვენე, ბებიავ, აგერ, ა, აქედან წეიკითხე.—ბებერმა გადმოაბრუნა ერთი ფურცელი და ქაღალდის ბოლოში აჩვენა თითით, საიდანაც უნდა წაეკითხა.

„სხვაი, აბა მალე გამახარეთ, ჩემო ბაბავ და ნენავ, თქვენი კაი ამბით. სულ თქვენ საგონებელში ვარ სიზმარში და ცხადში, როის მეღირსება ერთი თქვენი ნახვა და თქვენთან ყოფნა. სულ თვეებს, დღეებს და საათს ვითლი. უანგა-



იაპონელი ვოლონტერები, ლაშქარში მიმავალნი.

რიშოთ გიამბორებთ ჩემს საყვარელს პირს და გულს, ძვირფასო მშობლებო. თქვენი ყოველ მინუთში ნახვის მონატრე შვილი სალდათი ბესო ბუატაძე. ჩემი ადრესი, ამ ცაკე ქაღალდზე რომ სწერია, იგია.“—წაიკითხა ლადიკომ.

— კაი, ბებიავ, კაი, მომეცი, შენი ჭირიმე. ანდრესი ქე მაქ აგერ. კი მივსწერე ამ ანდრესით, აფერი გამევიდა, თვარა...

ჩივიან, იმფერი ქვეყანაა, რომ ნახევარ წელიწადს სულ დღეია თურმე და ნახევარს ღამე... შვილო, ვითამ რა გააძლებიებდა იქინეი...

— ე, ნენავ, რაფერი ხარ?, მაი, ბესოიეი რომაა, იქინეი კი არაა, მაი სიკოლიეი რომ დაჰკარგეს, იქინეია თურმე, —მიუგო დედას ქიშვარდიმ.

— ჰოო, თლა ევირიე მჯავრით მე უბედური. პეტრებუხიდან წეიყვანეს ორივე და მე ბესოიეი მეგონა... მარა რას იტყვით აბა, აი წიგნი ხომ გეიგონეთ?

— ე, ნენავ, ე, შენ თითონ ხედავ ახლა, ამ წიგნის მომწერი ცოცხალია და აფერს მეიწერდა? ცოცხალია, ვადა გუუთავდა და ამდენს დეიყონებდა? ვაიმე ძმაო, რა ძმაი დამეკარქა!—ამოიხვნეშა ესმამ და მიუბრუნდა ძმას,—აბა რას იტყვი, შენ ქიშვარდი, ციცაის დაბერება სახლში ცოდვაა. იფიქრეთ ამაზე!

— რაღა უნდა ვთქვა, თუ საჭიროა, ვქნათ, მარა უმფრო ნენაის საქმეა მაი.

— ვითამ ერთს კიდევ წავალ მარჩიელთან მეთქი,—გაუბედავად ჩურჩულით ჩაილაპარაკა ბებერმა და ჩაჩუმდა. არავის ყურადღება არ მიუქცევია იმისთვის.

— აბა, გამუაგზანი ხვალ ამბაკოს და ნუღარ დააყონებთ ამ საქმეს. კვირიზა მუახერხოთ უნდა რამე ნაირათ ტირილი. ნაახალკვირევს დავსწეროთ ჯვარი ციცასაც.

მოხუცებულმა ჩაიდვა ჯიბეში ქაღალდები. გულმოდგინეთ უგდებდა ყურს შვილების ლაპარაკს და ამ ნაირი სწრაფი გადაწყვეტილება ერთობ ეწყინა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევაც ვეღარ გაბედა.

— ყველაი აი კაი, მარა იგი ყაძახი რომ ქრივიაო,—თქვა მან გაუბედავად და რაღაც იმედით შეხედა ეფემიას.

— სადაც არის ბედი შენი, იქინეი მიგიყვანს ფეხი შენიო!—მოისმა მკვახე ხმა. ყველამ მიიხედა ეფემიასკენ და განცვიფრებით დაუწყეს ცქერა.—ქრივიაო, რავა, ეგება იგია ჩემი ბედი და არ დეიჯერებთ?

ყველას თითქო ხმა ჩაუწყდაო, ჩაჩუმდნენ. არავინ არ მოელოდა ქალიშვილისაგან ამნაირ გამბედაობას. ეფემია, თავაწეული, წარბებ-შეჰმუხვნილი, იყურებოდა სივრცეში თავისი შავი დიდრონი ცივი თვალებით.

მოხუცებული დედა კარგა ხანს შესცქეროდა მას და ბოლოს ნელიად, ძლივს გასაგონად უთხრა:

— ნენავ, შენ გინდაა?.. ქრივი... ვითამ რა... ქენით რავაც ჯობდეს, მე ნუ მიყურებთ გამოყრუებულ დედაბერს,— სთქვა მან გულ-დათუთქულად, როგორღაც კიდევ უფრო მოიკუნტა და ჩაღუნა თავი.

ბავშვები ჟივილ-ხივილით ისევ გაიქცნენ სათამაშოდ.

ლადიკო, ნენავ, არსა წახვიდე—შინ უნდა წევიდეთ!— მიაძახა ესმამ გაქცეულ ლადიკოს და ადგა.—აბა გამუაგზანი ამბაკოს და ლადიკოს წიგნების დასაწერათ. აზნაურებს წიგნები უნდა გუუგზანოთ. ყაძახებში ჩამუარონიეთ კაცი, მეტი არაა საჭირო. მე ზარით მუალ. სასიძოსაც ქე წამევიყვან, ერთ სამ მანათს ქე მევიტან, კალაპტარსაც მევიტან, ჩემი ვალია,— ეუბნებოდა დედას და ძმას ესმა და ისწორებდა მოსახვევს თავზე.

— კი, დაიავ, კი, შენგან პატივის ცემა არ გვაკლია, მარა მიხვალ, მიხვალ, არ გაათევ ღამეს?...

**ნინო ნაკაშიძე.**

(დასასრული იქნება)











მოსალოდნელია, ავტომობილი გამოიყენონ ქურდების დასაჭერად.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**